დაიჯესტი

12 – 18 ივნისი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

გამოძიების ფედერალური ბიუროს სადაზვერვო ანგარიშში ნათქვამია, რომ შესაძლოა გაიზარდოს ძალადობა ულტრამემარჯვენე დაჯგუფების, QAnon-ის წევრების მხრიდან. წლების მანძილზე ჯგუფის წევრები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს სხვადასხვა კონსპირაციული თეორიის გასავარცელებელად და მხარს უჭერენ დონალდ ტრამპს. ჯგუფის წევრებს სჯერათ, რომ ჯო ბაიდენი არალეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტია. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, სწორედ დემოკრატიული პარტია შესაძლოა გახდეს QAnon-ის მთავარი სამიზნე.

ხელისუფლებამ გაავრცელა სტრატეგია შიდა ტერორიზმის 'მზარდი საფრთხის' წინააღმდეგ. პრეზიდენტის ადმინისტრაციას სურს უფრო მკაცრი ზომები მიიღოს შიდა ტერორიზმის "სერიოზული და მზარდი საფრთხის“ წინააღმდეგ. მათ შორის სხვადასხვა ფედერალური უწყების უახლესი დაზვერვის გაზიარების და შესაბამისად რეაგირების უზრუნველსაყოფად. სტრატეგია შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ძალადობას და შიდა ტერორიზმის მიზნით რეკრუტირების პროცესს.

კანადა

კანადის ფინანსური დაზვერვის ჯგუფის მიხედვით, ტერორისტული დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ვირტუალურ ვალუტას. მათ მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემისტები ონლაინ პლატფორმებზე მათთვის შექმნილი პრობლემების გამო, სულ უფრო ხშირად მიმართავენ ვირტუალურ ვალუტას ფინანსების მოსაზიდად.

გაერთიანებული სამეფო

პოლიციამ გაავრცელა გაფრთხილება ტერორისტების მიერ 3D პრინტერით “დაბეჭდილი” იარაღის პოტენციური გამოყენების შესახებ. გაფრთხილება მას შემდეგ გავრცელდა, რაც პოლიციამ 34 წლის დინ მორისი დააკავა. პოლიციამ დაკავებულის სახლიდან ამოიღო 3D პრინტერით დაბეჭდილი იარაღის ნაწილები და ბომბის დასამზადებლად საჭირო კომპონენტები.

18 წლის ისლამოფობ და ექსტრემისტ თინეიჯერს ბრალად ედება 3D პრინტერით იარაღის წარმოება და მისი დამზადების ინსტრუქციის გავრცელება. თინეიჯერი მიზნად ისახავდა რევოლუციის მოწყობას, რომელიც მის რასისტულ იდეოლოგიაზე იქნებოდა დაფუძნებული. ამ მოტივით, ბრალდებული სოციალურ ქსელში ხშირად ავრცელებდა ძალადობრივი შინაარსის ტექსტებს.

24 წლის ენდრიუ დაიმოკი, ნაფიც მსაჯულთა მიერ აღიარებულია დამნაშავედ 15 ტერორისტული შინაარსის აქტივობაში 2017 და 2018 წლებში. აქტივობებს შორისაა ტერორიზმის წახალისება, თანხების შეგროვება ტერორისტული ჯგუფების მხარდასაჭერად, რასისტული მასალების ფლობა და გავრცელება. ენდრიუმ 2017 წელს ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში დაიწყო რასისტული და ჰომოფობიური პროპაგანდისტული პლაკატების გავრცელება. მან დაარსა და ხელმძღვანელობდა ორ აკრძალულ ნეონაცისტურ ტერორისტულ ჯგუფს, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანია სისტემასთან მებრძოლთა ქსელი (SRN). ახალი ნეონაცისტური ჯგუფის ლოგოთი გამოსახული მასალა ბოროტად გამოიყენებოდა ჰომოსექსუალი, ებრაელი, შავკანიანი და მუსლიმი ხალხის დაშინებისთვის.

საფრანგეთი

საფრანგეთმა მალიში ტერორისტული ორგანიზაციის, „ისლამური სახელმწიფო დიდ საჰარაში", ერთ-ერთი მაღალი რანგის მებრძოლი - აბუ დარდარი დაიჭირეს. დარდარის დაპატიმრება მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება პრეზიდენტ მაკრონისთვის, რომელმაც ახლახანს გასცა ტერორისტული ორგანიზაციების საბოლოო დასუსტების დაპირება.

გერმანია

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჰორსტ ზიჰოფერმა, შიდა დაზვერვის სააგენტოს (BfV) წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში გერმანიაში გაიზარდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ექსტრემიზმი. ზიჰოფერმა აღნიშნა, რომ კორონავირუსის პანდემიამ ბოლო წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაამძაფრა ექსტრემიზმის

საშიშროება. სხვადასხვა ექსტრემისტული ჯგუფები იყენებდნენ დაბლოკვის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს თავიანთი დღის წესრიგის შესანარჩუნებლად.

კოტ-დ'ივუარი

კოტ-დ'ივუარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბურკინა ფასოს საზღვართან აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი ჯარისკაცი. პატრულირების დროს მათ მანქანამ ჩასაფრებულ ხელნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობას გადაურა, რამაც გამოიწვია აფეთქება. ჯერ-ჯერობით არავის გამოუთქვამს პასუხისმგებლობა მომხდართან დაკავშირებით. კოტ-დ'ივუარის ამ ნაწილში, ასევე მალისა და ბურკინა ფასოს საზღვრებთან ხშირია ალ კაიდასა და დაეშის ჯგუფების აქტივობა.

დასავლეთ აფრიკაში, კოტ-დ'ივუარის და საფრანგეთის საერთო ძალებით, ქალაქ აბიჯანში ანტიტერორისტული აკადემია გაიხსნება, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული შესაძლებლობების გაზრდას დაეშისგან მომავალ მზარდ საფრთხესთან საბრძოლველად. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აკადემია (AILCT), მოიცავს სკოლას სახელმწიფო მოხელეებისთვის, სპეციალური ძალების ტრენინგ ცენტრსა და კვლევით ინსტიტუტს.

ნიგერია

ნიგერია ცდილობს გააძლიეროს თანამშრომლობა ისლამურ სამხედრო კონტრტერორისტულ კოალიციასთან. ნიგერიის ელჩი საუდის არაბეთში, იაჰია ლოიალი, ეწვია ისლამური სამხედრო კონტრტერორისტული კოალიციის (IMCTC) შტაბ-ბინას. მათ განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავების გზები ტერორიზმთან ბრძოლის ყველა ფორმით. კოალიცია მიზნად ისახავს ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას ამ საფრთხის ეფექტურად აღმოსაფხვრელად. IMCTC– ის ხელმძღვანელის თქმით, კოალიციის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავება.

ტერორისტულმა ორგანიზაცია „ბოკო ჰარამმა" სოფელ კვანდიში სამხედრო შენაერთი

გაანადგურა. ეს წინ უსწრებს ნიგერიის პრეზიდენტის მუჰამმადუ ბუჰარის პირველ ვიზიტს აჯანყების ეპიცენტრში, ბორნოს შტატში.

ბურკინა-ფასო

ბურკინა-ფასოს არმიამ ორშაბათს განაცხადა, რომ ჯარებმა მოკლეს დაახლოებით 10 ტერორისტი უსაფრთხოების ოპერაციებში ქვეყნის ექვსწლიანი ჯიჰადისტური აჯანყების დროს ყველაზე საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. მთავრობის თანახმად, ივნისის დასაწყისში სოფელ სოლჰანზე თავდასხმის შემდეგ 7000-ზე მეტი ადამიანი გაიქცა ჩრდილოეთ ბურკინა-ფასოდან. ადგილობრივი წყაროების თანახმად, დაღუპულთა რიცხვი 160-ს შეადგენს.

იემენი

ალ კაიდას წევრებმა აღიარეს კავშირი სამხრეთ იემენში, ქალაქ ზინჯიბარში მოხდარ თავდასხმასთან, რომლის დროსაც სამხრეთ გარდამავალი საბჭოს (Southern Transitional Council) შვიდი ჯარისკაცი დაიღუპა, 25 კი - მძიმედ დაშავდა. STC-მა დააკავა დაჯგუფების ორი წევრი, რომლებმაც აიღეს პასუხისმგებლობა მომხდარ აფეთქებაზე. დაკითხვის შემდგომ კი, მათ 13 სხვა წევრის დაჭერა შეძლეს.

სირია

სირიაში მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ, ჯაბათ ალ-ნუსრამ, ბოლო 24 საათის მანძილზე 38-ჯერ დაბომბა იდლიბის ზონა. აქედან იდლიბის რეგიონზე 23 შეტევა განხორციელდა, ლატაკიაზე-6, ალეპოზე-3 და ჰამაზე-6.

სამხედრო დაჯგუფება „ჰეზბოლას ბრიგადები" სირიის ტერიტორიაზე, რაკას მიმდებარე ტერიტორიაზე ახალ ბაზას ქმნის. წყაროების მიხედვით, აქ უკვე გაყვანილია გვირაბები, სირიის მთავრობა კი ამ აქტივობას ხელს არ უშლის. როგორც ჩანს, „ჰეზბოლას ბრიგადების" მიზანი რეკრუტირების ზრდაა.

ერაყი

ერაყში შაბათ-კვირას გათხარეს საფლავები, რომელშიც 100-ზე მეტი ადამიანის ნეშტი იქნა მოკლული დაეშის ტერორისტების მიერ ერაყის სიდიდით მეორე ქალაქის, მოსულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ობიექტში. ოფიციალური პირების აზრით, ნეშტი ეკუთვნის შიიტ პატიმრებს, რომლებიც ჯგუფმა დააპატიმრა 2014 წელს. სუნიტმა ექსტრემისტებმა ამ დაწესებულებაში 600-ზე მეტი ადამიანი დახოცეს.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერაყში მოქმედი "სახალხო სამობილიზაციო ძალები" (PMF) შორ მანძილზე ფუნქციურ უპილოტო საფრენ აპარატებს ფლობს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას რეგიონის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, მათ შორის ისრაელის მიმართაც. შეგახსენებთ, რომ PMF-ის აქტიურად უჭერს მხარს ირანი, რომელიც მონაწილეობას იღებს როგორც წვრთენბში, ასევე, მათ შეირაღებაში.

ღაზის სექტორი

IDF– მა ღაზას სექტორში რიგი საჰაერო თავდასხმები განახორციელა ოთხშაბათს, დილით ადრე, სამხრეთ ისრაელში ორი ათეული ხანძრის საპასუხოდ, რომლებიც გამოწვეულია ცეცხლგამჩენი მოწყობილობებით. ღაზაში პალესტინის მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ კადრებზე ნაჩვენებია აფეთქებები, ჟურნალისტებმა თქვეს, რომ სამიზნეებს შორის იყო ჰამასის სამხედრო ფრთის კუთვნილი ადგილები, ალ-კასამის ბრიგადები.

თურქეთი

თურქეთის უშიშროების ძალებმა 13 ეჭვმიტანილი დააკავეს, რომლებიც დაეშის ტერორისტებს სავარაუდოდ დახმარებას უწევდნენ სირიაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ეჭვმიტანელები ტერორისტული დაჯგუფებისთვის საჭირო საქმიანობას ახორციელებდნენ სირიის რამდენიმე რეგიონში.

თურქეთის ეროვნულმა სადაზვერვო ორგანიზაციამ სირიაში განხორციელებული ოპერაციის შედეგად დაეშის ერთ-ერთი ტერორისტი კასიმ გულერი, იგივე აბუ უსამე ალ-თურქი დააკავა. არსებული ინფორმაციით, იგი თურქეთში დიდი ტერაქტის განხორციელებას გეგმავდა.

შეიარაღებული ადამიანი პროქურთულ „ხალხის დემოკრატიული პარტიას" (HDP) დაესხა თავს და მისი ერთ-ერთი წევრი მოკლა. პარტიის ლიდერები ამბობენ, რომ თურქეთის პრეზიდენტის - რეჯეპ თაიპ ერდოღანის მკაცრი რიტორიკა მათდამი ამ თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

ავღანეთი

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების ცნობით, მას შემდეგ რაც ამერიკული ჯარები სრულად დატოვებენ ავღანეთის ტერიტორიას, ბაიდენის ადმინისტრაცია არ გეგმავს თალიბანის წინააღმდეგ საჰაერო თავდასხმების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ამ პოლიტიკის გადახედვა შეიძლება საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში თუ ავღანეთში განვითარებული მოვლენები საფრთხეს შეუქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოებას - ნათქვამია ვაშინგტონ პოსტის სტატიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ემზადება ავღანელი მშვიდობიანი მოსახლეობის გადაყვანისთვის მეზობელ ქვეყნებში. ავღანეთის მთავრობასა და თალიბანს შორის ურთიერთობა დაძაბულია. სავარაუდოა, რომ ლტოლვილების რაოდენობა გაიზრდება მას შემდეგ, რაც აშშ და საერთაშორისო ჯარები სრულად დატოვებენ ავღანეთის ტერტორიას.

ოთხშაბათს ჩრდილოეთ ავღანეთში თალიბანის თავდასხმის შედეგად 24 ავღანური ელიტური შენაერთის წევრი და 5 პოლიციელი დაიღუპა. ამერიკული და საერთაშორისო ჯარების ქვეყნიდან გასვლის პროცესის პარალელურად ავღანეთი სულ უფრო მეტ პროვინციას იკავებს.

პაკისტანი

ბომბის აფეთქების შედეგად, რომლის სამიზნესაც სამთავრობო ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, დაიღუპა 4 ჯარისკაცი. აფეთქებას ადგილი ჰქონდა პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქვანახშირის მაღაროში. მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არავის აუღია. თუმცა, სეპარატისტული ჯგუფები ხშირად ითხოვენ ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარებას. მათ რიგებშია პაკისტანის თალიბანი და დაეშიც.

ინდონეზია

ეროვნულმა პოლიციის სპეციალურმა ანტიტერორისტულმა რაზმმა ან Densus 88-მ დააკავეს ეჭვმიტანილი ტერორისტი, რომელიც KDW- ს სახელით არის ცნობილი, ბოგორში, დასავლეთ ჯავაში. ეროვნული პოლიციის საჯარო ინფორმაციის ბიუროს უფროსმა განაცხადა, რომ KDW არის ტერორისტული დაჯგუფების ჯამაა ანშურატ დაულას (JAD) წევრი. KDW ამზადებდა ქიმიკატებს, რომლებიც ნედლეულად გამოიყენება ბომბების დასამზადებლად. პოლიციელებმა დაკავებულს აღმოუჩინეს ისეთი ქიმიკატები, როგორიცაა დექსტრანი, ნატრიუმის ბორიტი და HCL, რომლებიც, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაქმნელად გამოიყენება. გარდა ამისა, პოლიციამ დაადგინა, რომ KDW ხშირად ავრცელებდა ტერორისტულ ჯგუფთან დაკავშირებულ მასალას მის სოციალურ ქსელში. იგი ასევე იყო WhatsApp ჯგუფის ადმინისტრატორი, რომელიც განიხილავდა ჯიჰადის ან ექსტრემისტული დღის წესრიგს.

ავსტრალია

ლიბერალმა და ლეიბორისტმა პარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ნეონაცისტური დაჯგუფება „სონენკრიგის დივიზიის" ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას. პარლამენტარების განცხადებით, შესაძლოა ეს ორგანიზაცია უშუალოდ ავსტრალიაში არ ფუნქციონირებს, თუმცა ისინი პირებს მოუწოდებენ ტერორისტული აქტების განხორციელებისკენ.